

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი**  
**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების**  
**საგანმანათლებლო პროგრამა**  
**პროგრამის მოცულობა 60 ECTS :**

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მასწავლებელი)
<b>კვალიფიკაცია</b>	სპორტის ბაკალავრი
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	60 კრედიტი
<b>პროგრამის სტრუქტურა</b>	<p>ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთ წლიანი. სწავლება წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს, სასწავლო კურსი შედგება ორი სემესტრისაგან; სემესტრში 30 კრედიტი;</p> <p>წელიწადში 60 კრედიტი. 1კრ=25საათი</p> <p>სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო საგნები. ერთი აკადემიური წელი : 38 კვირა. სემესტრის ხანგრძლივობა: 19 კვირა (აქედან სასწავლო პროცესზე 15 და სასესიო 4 კვირა)</p> <p>ყველა სახის სასწავლო მუშაობა განისაზღვრება ასტრონომიული საათით (60წუთი).</p>
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი</b>	<p>პროგრამა შემუშავებულია 30.04.2015წ.</p> <p>განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.</p>
<b>სწავლების ენა</b>	ქართული ენა
<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია მსმენელის კომპეტენციების</b>	<p>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას.</p> <p>წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს ფიზიკური აღზრდის და სპორტის დარგის ისეთი სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელიც მაქსიმალურად იქნება მომზადებული პედაგოგიური საქმიანობისათვის; იგი შეძლებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას ჯანსაღი ცხოვრების წესის როლსა და მოზარდის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების</p>

<p><b>გამომუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე</b></p>	<p>ინტეგრაციას თანატოლებთან და მათ ჩართვას გუნდურ თამაშებსა და ინდივიდუალურ მოძრაობით მოქმედებებში.</p> <p>კურსდამთავრებული შეიძენს მასწავლებლის მაღალკვალიფიციური სტანდარტის მისაღწევად აუცილებელ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რომლებიც წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას.</p>
--	--

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის უმაღლეს დამთავრებულს, რომელსაც აქვს სურვილი მიიღოს განათლება ფიზიკური არზრდისა და სპორტის სფეროში.

<p><b>სწავლის შედეგი</b></p>	<p><b>დარგობრივი კომპეტენციები</b></p> <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პედაგოგიკის კლასიკური და უახლესი თეორიების შესწავლა;</li> <li>• პედაგოგიური პრობლემების გადაჭრისათვის ფსიქოლოგიური უნარ-ჩვევების დაუფლება;</li> <li>• მოსწავლის მიღწევებისა და სწავლის შედეგების შეფასების ცოდნა;</li> <li>• სწავლება-სწავლის ხელშემწყობი კლიმატის შექმნის ჩვევა;</li> </ul> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (პრაქტიკული უნარები)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დარგობრივი სფეროს მეთოდოლოგიის ცოდნა;</li> <li>• სწავლისა და განვითარების თეორიების პრაქტიკაში გამოყენება;</li> <li>• სწავლებისა და სწავლის ახალი ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება;</li> <li>• მოსწავლისათვის სწავლის ხელშემწყობი თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა;</li> <li>• დარგობრივი სფეროს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;</li> </ul> <p><b>სწავლის უნარი.</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ შეუძლია ადეკვატურად განსაზღვროს პროფესიული და შემოქმედებითი ზრდის განსხვავებული ვარიანტები, აირჩიოს კონკრეტული მიმართულება.</li> </ul> <p><b>ღირებულებები.</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა;</li> <li>• შეუძლია კოლექტივში მუშაობა, პროფესიული ეთიკის დაცვა, ითვალისწინებს სამუშაოს დამკვეთის სურვილს;</li> <li>• შეუძლია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, იცავს სწავლების პროცესისთვის განსაზღვრულ უსაფრთხოების ნორმებს;</li> <li>• იცის მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები;</li> </ul>
------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცნობს იმ თეორიებსა და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე.</li> </ul>
<b>სწავლის ფორმატი</b>	
<p>სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარი და პრაქტიკული მეცადინეობა,</p>	
<b>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</b>	
<p>შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი</li> <li>• წიგნზე მუშაობის მეთოდი</li> <li>• დისკუსია, დებატები</li> <li>• ჯგუფური მუშაობა</li> <li>• სემინარი</li> <li>• ქვიზი</li> <li>• წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის და კონსპექტების, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება, და.ა.შ.</li> <li>• პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულუნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს. მასწავლებლის პარაქტიკა.</li> </ul>	
<b>სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები /რესურსები</b>	
<p>ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები (ჩართული ინტერნეტ ქსელში); სპორტული დარბაზები, მოედნები, საცურაო აუზები. თეორიული მზადებისათვის – სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორია. აუდიო (ვიდეო) აპარატურა</p>	
<b>მსმენელის ცოდნის შეფასების სისტემა</b>	
<p>შეფასების სისტემა ასპულიანია და მოქნილობით ოპტიმალურია სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარამეტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა.</p> <p>მსმენელის საბოლოო შეფასება განისაზღვრება მრავალი კომპონენტით, რომელთა რაოდენობა უნდა იყოს სულ მცირე სამი მაინც, რომელთაგანაც ერთი დასკვნითი გამოცდაა და მისი ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 51-დან 100 ქულამდე დაგროვება. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საბოლოო შეფასებაზე კიდევ ერთხელ გასვლის საშუალება კურსის გამეორების გარეშე. 40 და ნაკლების დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაიმეოროს კურსი. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის</p>	
<p>მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 11 ქულა (ვინაიდან უნივერსიტეტში დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით, იმისთვის, რომ სტუდენტს მიეცეს გამოცდაზე გასვლის უფლება, შეფასების სხვა კომპონენტებში ერთად დაგროვილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 11 ქულა</p>	

(11+40 =51). შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა- 30%

შუალედური შეფასება - 30%

საბოლოოგამოცდა - 40%

(დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მსმენელი, რომელი ცდააგროვებს მინიმუმ 11 ქულას)

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% დამეტი;

ა.ბ) (B) ძალიანკარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე)(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; (მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება არის 51).

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე.

თუ მსმენელს შუალედური შეფასებებით დაგროვილი აქვს ერთ-ერთი დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი (მინიმუმ 51 ქულა), მას უფლება აქვს, არ გავიდეს საბოლოო შეფასებაზე (თუ სილაბუსით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული) შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ისევე, როგორც შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია თითოეული საგნის სილაბუსში და ეცნობა მსმენელს სასწავლო წლის სემესტრის დაწყებისას.

სემესტრული შეფასების კომპონენტები აღწერილია საგნების სილაბუსებში მსმენელს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

### დასაქმების სფერო

სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ მსმენელს ექნება ფიზიკური აღზრდის დარგში საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები, როგორც სასწავლო დაწესებულებებში, ასევე ინდივიდუალურად მუშაობისათვის.

## პროგრამა

სასწავლო კურსები	სტატუსი (სავალდებულო / არჩევითი)	ECTS კრედიტი/ სემესტრი	საკონტაქტო საათების რაოდენობა	ცოდნადაცნობიერება	ცოდნისპრაქტიკ აზიგამოყენების უნარი	დასკვნისუნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ზოგადი და სპორტის პედაგოგიკა	ს	5 (I)	47	X	X	X	X	X	X
განათლების ფსიქოლოგია	ს	5 (II)	47	X	X	X	X	X	X
ასაკობრივი განვითარების ფსიქოლოგია	ს	5 (I)	47	X	X		X	X	
ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია	ს	5 (II)	47	X	X	X	X	X	
კლასის მართვა	ს	5 (II)	47	X	X		X	X	
პედაგოგიური პრაქტიკა	ს	5 (II)	85	X	X	X	X	X	X
პედაგოგიური ტექნოლოგიები, სწავლების მეთოდები და პედაგოგიური კვლევა	ს	4 (II)	47	X	X		X	X	
შეფასებისა და ტესტირების ძირითადი პრინციპები	ს	3 (II)	47	X	X		X	X	
ინკლუზიური განათლება	ს	4 (II)	47	X	X			X	
პირველი გადაუდებელი დახმარება ტრამული დაზიანების დროს	ს	3 (II)	47	X	X		X	X	X
პედაგოგიური პრაქტიკა	ს	10 (II)	175	X	X	X	X		
საბაკალავრო ნაშრომი	ს/ა	6 (I)	47	X	X	X	X	X	